ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 04

დ. ლენტეხი 27. 08. 2025 წ.

2025 წლის 27 აგვისტოს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი, კომისიის წევრები: დავით პირველი, მევლუდ ლიპარტელიანი, ირაკლი ქურასბედიანი, ამირან ლიპარტელიანი (მოწვეული სპეციალისტი), მოწვეული სტუმარი ზვიად ლობჟანიძე, არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი, მერიის ზედამხედველობის სამსახურის/სამშენებლო საქმიანობის განყოფილების შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი დავით ტვილდიანი, კომისიის მდივანი თეა ქურდიანი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2025 წლის 6 თვის ანგარიში.**

/მომხ. დ. ტვილდიანი/

2. **დარჩენილი პრიორიტეტული პროექტების დაფინანსების საკითხი.**
3. **დამისამართება**

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2025 წლის 6 თვის ანგარიში :

ზედამხედველობის სამსახური წარმოგიდგენთ 2025 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ჩვენი სამსახურის მიერ გაწეულ მუშაობის შესახებ ინფორმაციას.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის N-3 დადგენილებით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხდა გარე ვაჭრობისა და ბაზრობების რეგულირება. შესაბამისად, ჩვენი სამსახური ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს ამ საკითხს.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის N-53 განკარგულებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, ლენტეხის მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო 604000 ლარი. ამ ეტაპისთვის დასრულებულია სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და გაფორმებულია ხელშეკრულებები.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის N-301 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის მთის განვითარების ფონდიდან გამოიყო 354178 ლარი. აღნიშნული თანხით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი სოფელ ჟახუნდერში საავტომობილო გზის მოწყობაზე. გამარჯვებულია **შ.პ.ს „ლ.კ ჯგუფი"** სახელშეკრულებო თანხა შეადგენს **354 178** ლარს. მიმდინარე პროექტის სამუშაოები დასრულებულია.

საქართველოს მთავრობის 2023წ 02 მაისის N-648 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტს სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოეყო 2 068 223 ლარი. სოფ. ხერიაში და სოფ. ჩუკულში ნაკიშერის უბანში ხიდების მოსაწყობად გამოიყო თანხა ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 1 132 255 ლარს, პროექტები არის გარდამავალი. სამუშაოებს ასრულებს **შპს „ავტოგზა ლენტეხი 99"**-ი. შესრულებულია სამუშაოების 85%.

მიმდინარეობს 2 პროექტი:

1. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ სოფელ ჩუკულში და სოფ. შკედში ხიდ-ბოგირების მოწყობა;
2. სოფ. ლემზაგორში ქვედა უბანში რკ/ ბეტონის სანიაღვრე არხის და რკ/ბ კედლის მოწყობა; რომელთა ღირებულებაც შეადგენს 366 096 ლარს.

2025 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში ხელშეკრულება შეწყდა 2 პროექტის ფარგლებში:

1. შპს ტორნადო-ლემზაგორში შესასვლელი გზის დამცავი გაბიონის მოწყობა
2. შპს ბ ნ მ ჯგუფი- სოფ. კერბულაში რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოიყო 2 787 198 ლარი. დაფინანსებულია თვრამეტი პროექტი რომელთა უმრავლესობაზეც მიმდინარეობს სამუშაოები.

მათგან დასრულებულია 3 პროექტი:

1. შპს ბ ნ მ ჯგუფი- ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ხოფურში შიდა სასოფლო გზის მოწყობა ბეტონის საფარით;
2. შპს ბ ნ მ ჯგუფი- ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. რცხმელურში გზის ბეტონის საფარით მოწყობა
3. მშენებელი ლ.მ 2009 -ლენტეხის მუნიციპალიტეტში სასაში-ლუჯის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;

ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული იყო და ჩვენს სამსახურს საზედამხედველოდ გადმოგვეცა 4 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება იყო 186 157 ლარი.

ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული იყო და ჩვენს სამსახურს საზედამხედველოდ გადმოგვეცა 4 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება იყო 186 157 ლარი.

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი დანიშნულების შიდა სასოფლო გზების
თოვლის საფარისგან და ჩამონაშალი ქანებისაგან გაწმენდა- 148503 ლარი;
2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზეხმელი ხეების მოჭრა-ჩამობელვის
სამუშაოები- 7840.8 ლარი;
3. დაბა ლენტეხში ჭავჭავაძის ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია- 5542.94 ლარი;
4. დაბა ლენტეხში სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები- 24270.6 ლარი;

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 აგვისტოს N-1456 განკარგულებით 2020-2022წ. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის დაბა ლენტეხში სპორტული დარბაზის რეაბილიტაციისთვის გამოიყო 750 000 ლარი. სამუშაოებს ასრულებდა ამხანაგობა „დაგი+"-ი. შემსრულებელი შეფერხებით და არა ჯეროვნად ასრულებდა
ნაკისრ ვალდებულებებს. ასევე დაარღვია გეგმა-გრაფიკი და პირგასამტეხლომ გადააჭარბა ხელშეკრულების საერთო ღირებულებას. შესაბამისად, დაეკისრა ჯარიმა
34 639 ლარის ოდენობით და შეუწყდა ხელშეკრულება. ტენდერი გამოცხადდა ხელმეორედ, გამარჯვებული გახდა შპს ,,აბსოლიტპლუსი", ხოლო ხელშეკრულების
ღირებულება შეადგენს 479 770 ლარს. სამუშაოების დასრულებულია, მიმდინარეობს მიღება ჩაბარებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება.

2025 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში პირსაგამტეხლო, ვადა-გადაცილებისა და სამუშაოების არა ჯეროვნად შესრულების გამო ჯარიმა დაეკისრა შემდეგ შემსრულებელს:

1. შპს,, დეგი გრუპი" - 44 ლარი
2. შპს ,,ნათება 777"- 62 ლარი
3. შპს ,,საგზაო 333"- 865 ლარი
4. შპს ,, ელიტ ბილდერს გრუპი"- 192 ლარი
5. შპს ,,გლობალ მშენი"- 259 ლარი
6. შპს ,,ლილეო"- 548 ლარი
7. ი/მ მურმან ტოგონიძე - 3 743 ლარი.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი 6 თვის ანგარიში, ფრაქცია ,,ქართულ;ი ოცნება დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარემ ირაკლი ქურასბედიანმა სპორტდარბაზთან დაკავშირებით დასვა შეკითხვები, რაზეც ზვიად ლობჟანიძემ უპასუხა, რომ საჭიროა სახურავის შეკეთება და ფანჯრების ჩასმა, ასევე ჭავჭავაძის ქუჩაზე გასაკეთებელია კანალიზაცია.
მევლუდ ლიპარტელიანმა დასვა საკითხი - ხერგიანის ქუჩაზე სანიაღვრე არხი არ მუშაობს, წვიმის შედეგად იტბორება ქუჩა. ასევე აღინიშნა, რომ შესაკეთებელია მჟავე წყლის ხიდი.

სოფ. მელეს გზების პროექტების შეახებ სოსო ავალიანმა აღნიშნა, რომ მეორე ტრანშის განხილვის დროს პროექტი არ იყო მზად, ამიტომ ამისთვის განკუთვნილი თანხა გადატანილი იქნა სოფ. შკედის გზის პროექტის განსახორციელებლად.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განიხილა საკითხი;

1. **სოფ ჟახუნდერის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული, ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენოსანის ტარიელ ონიანის სახელი;**
2. **სოფ. ჟახუნდერში პატარა უბანს -(ჯატიშერს) და ასევე ჟახუნდერის კულტურის სახლს მიენიჭოს ახალგაზრდა მწერლის და პოეტის ანა ლაშხელი ონიანის სახელი.**

კომისიის დასკვნის თანახმად აღნიშნულ მასალას თან უნდა ერთვოდეს ორთოპოტო მასალა, ამიტომ უნდა გაიგზავნოს მერიაში მოთხოვნა რომ უახლოეს პერიოდში მოწოდებულ იქნას შესაბამისი დოკუმენტები,რომ კომისიამ შეძლოს მიიღოს გადაწყვეტილება.

გადაწყვიტეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი 2025 წლის 6 თვის ანგარიში შეფასდეს დადებითად.

სხდომა დასრულდა 12 საათსა და 30 წუთზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

თავმჯდომარე : /ს. ავალიანი/